

ინგა ჯიბუტი - არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ომარ შურაძე - სსიპ-ფერდინანდ თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

ტერმინის შემოღება–დამკვიდრების შესახებ

ახალ ტერმინზე ხშირად ამბობენ, მავანმა შექმნა ტერმინიო. ამის მრავალი მაგალითი იყო II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში ბათუმი 18-20 მაისი, 2012 წ. და კონფერენციაზე „ტერმინოლოგია - ქართული ენის ხვალისდელი დღე“, თბილისი, 11-13 ივნისი, 2013 წ. და სხვა. იგივე იკითხება ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც (ქსე) ... „ტერმინი შეიძლება საგანგებოდ შეიქმნას ან კიდევ არსებული ჩვეულებრივ სახმარი სიტყვა გამოყენებულ იქნეს ტერმინად“. იქვე, ტერმინის პირველსაწყისი შემოღება წარმოდგენილია შემდეგნაირად: მეტაფიზიკა¹ - ფილოსოფიური მეცნიერება ყოფიერების ზებუნებრივი, ზეგრძნობადი საწყისების შესახებ. ამ მნიშვნელობით ტერმინი „მ“ შემოიტანა ანდრონიკე როდოსელმა (ძვ. წ. I ს.).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქეგლ) სიტყვა “შექმნას” შემდეგი მნიშვნელობები აქვს: შექმნა – 1. გაჩენა, წარმოშობა, წარმოქმნა; 2. გაკეთება, აშენება, მოწყობა; 3. ჩამოყალიბება; 4. შეთხზვა.

მოცემული განმარტებებიდან ახალი ტერმინის აღსანიშნავად, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად მისადაგებული პირველი მნიშვნელობებია. ისინი ქეგლ–ში განმარტებულია, როგორც:

1. გაჩენა – წარმოშობა, შექმნა;
- 2 . წარმოშობა – 1. გაჩენა, წარმოქმნა. 2. შექმნა, დაარსება. 3. ჩამომავლობა;
- 3 . წარმოქმნა – 1. შექმნა, წარმოშობა. 2. ლინგ. იგივეა, რაც სიტყვაწარმოება. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი.

ტერმინი შემოიტანა ქეგლ–ში განმარტებულია, როგორც: 1. გარედან შიგნით შემოიტანა–შემოზიდვა... 2. გადატ. გაჩენა, ჩამოყალიბება, დამკვიდრება. ... II შექმნა, შემომატება.

ჩამოთვლილი სიტყვების შესაბამისი განმარტებების საფუძველზე ტერმინის - „ახალგამოჩენა“ - სახელდება სიტყვით „შექმნა“ (შემოტანა), გარკვეული უკმარისობის გრძნობას ტოვებს. არ ითქვა სრულად ის, რისი ასახვაც გვსურდა! ხომ არ იქნება უმჯობესი, ჩამოყალიბდეს საერთო თვალსაზრისი ახალი ტერმინის „გაფორმებისა“ და პრაქტიკაში მისი გამოყენების შესახებ? მიგვაჩნია, უმჯობესია, გამოთქმა - ახალი ტერმინის „შექმნის“ (შემოტანის) ნაცვლად დამკვიდრდეს გამოთქმა - ახალი ტერმინის, „შემოღება“. ჩვენი აზრით, იგი უფრო სრულად ასახავს საძიებელი საკითხის მნიშვნელობას.

ქველ-ში სიტყვა „შემოღება“ განმარტებულია, როგორც: შემოღება¹ – რისამე წესად დადება, დაკანონება, დამკვიდრება, დანერგვა, გავრცელება. ხოლო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში როგორც: „შემოღება - ახალი საქმის მიღება“.

მიგვაჩნია, სიტყვა „შემოღება“ შინაგანი ფორმის მიხედვით უფრო ახლოს დგას ახალ ტერმინთან, მის „გამოჩენასთან“. თუ გავითვალისწინებთ ქველ-ის განმარტებებს, უფრო მართებულად გვეჩვენება გამოთქმა - „მავანმა (საგნის, პროცესის, მოვლენის და ა.შ. აღსანიშნავად) შემოიღო ტერმინი“, ვიდრე - „მავანმა (საგნის, პროცესის, მოვლენის და ა.შ. აღსანიშნავად) შექმნა ტერმინი“. თანაც უნდა ვივარაუდოთ, რომ სამეცნიერო ტერმინის შემომღები პიროვნება ადგენს მის დეფინიციასაც, რაც პრაქტიკაში ტერმინის საყოველთაო გავრცელებას აადვილებს. შეიძლებოდა სხვა ვარიანტის განხილვაც: „მავანმა (საგნის, პროცესის, მოვლენის და ა.შ. აღსანიშნავად) დაამკვიდრა ტერმინი“... მაგრამ ამ ვარიანტის განხილვისგან თავის შეკავება გვმართებს, ვინაიდან ქრონოლოგიურად ტერმინი ჯერ უნდა შემოიღონ და შემდეგ უნდა დამკვიდრდეს.

კითხვაზე-როგორია ახალი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინის შემოღების წინაპირობა? - პასუხი მარტივია: თანამედროვე პირობებში ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული ქვეყნები შეიმუშავენ ახალ-ახალ ტექნოლოგიებს, იყენებს ახალ-ახალ მასალებს, პროცესებს და ა.შ., მუდმივად იზრდება მატერიალური სამყაროს კვლევის სიღრმეები. ჩნდება მეცნიერების ახალი მიმართულებები. მეცნიერული სიახლეები ახალი ცნებების ადეკვატური ახალი ტერმინებით აღიწერება და დარგი ტერმინოლოგიური მარაგით ივსება.

საზოგადოებაში სახელმწიფო ენის მნიშვნელობის სრულად გასაცნობიერებლად აუცილებელია სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიების დადგენა. ამდენად, საქართველოსათვის ენობრივი დაგეგმარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად უნდა გახდეს ტერმინოლოგიის დაზუსტება. ბუნებრივია, დარგობრივ ტერმინოლოგიებში, ყოველ კონკრეტულ პერიოდში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტა და ენის თავისებურების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ქართული ენის, როგორც ქვეყნის სახელმწიფო ენის განვითარებას.

ისმება კითხვა - როგორ უნდა აისახოს ახალშემოდებული ტერმინი ეროვნულ ტერმინოლოგიებში?

ენათმეცნიერები მიიჩნევენ, რომ საკუთარი სიტყვათა შესაძლებლობებით მსოფლიოს არც ერთ ენას არ შეუძლია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეებისა და, შესაბამისად, ტერმინთა ახალ-ახალი ნაკადის ადეკვატური ასახვა. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ახალი (თანამედროვე) მიღწევები მეცნიერებაში ქმნის ახალ ტერმინოლოგიურ „გარემოს“ და მისი გავლენა ენებზე გარდუვალია.

ნათელია, „მსოფლიო საზოგადოების“ განვითარების თანამედროვე მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების ასახვა ეროვნულ ტერმინოლოგიაში ე.წ. საერთაშორისო ტერმინების ექსპანსიის შესაძლებლობას შეამცირებს. ახალი ტერმინების მაგ., ქართული შესატყვისების დადგენისას ყურადღება უნდა კონცენტრირდეს ტერმინოლოგიაში ქართული ენის შესაძლებლობების მაქსიმალურ ჩართვაზე. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული ენა და მისი ტერმინოლოგია არ წარმოადგენს „დახურული საზოგადოების ენასა და ტერმინოლოგიას“. ტერმინთა ის ნაწილი, რომელიც გაცხდება ქართული ენის სიტყვათა მარაგს, ალბათ, სასურველია (თუ აუცილებელი არა), „ვისესხოთ“ და ენაში შემოვიტანოთ პირველსაწყისი ფორმით.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს რომ, როგორც ტერმინი მოქმედებს ენაზე, ისე შემოტანილი ტერმინებიც განიცდის მსესხებელი ენის გავლენას და, დროთა განმავლობაში,

მისი ნაწილი ხდება. ამის დასტური უცხო წარმოშობის უამრავი ტერმინია, რომლებიც დღეს ქართული ენის განუყოფელი ნაწილია და მის „ღვიძლ“ წარმონაქმნად გვევლინება.

ტერმინის სესხების მაგალითად განვიხილოთ კომპიუტერულ ტექნიკაში გავრცელებული ტერმინი „მაუსი“ (ლათ. Muriade, ინგლ. Mouse, რუს. Мышь ან Мышка, ქართ. თაგვი). იგი მექანიკური (ახლა იხმარება ლაზერული და ოპტიკური) მანიპულატორია – X და Y პოზიციის ინდიკატორი, რომელიც მოძრაობას გარდაქმნის მმართველ სიგნალად. Mouse სამუშაო სიბრტყეზე საკუთარ მოძრაობას აღიქვამს და შემდეგ ინფორმაციას გადასცემს კომპიუტერს. მიღებული სიგნალების პასუხად კომპიუტერი (შესაბამისი პროგრამებით) ეკრანზე Mouse–ს გადაადგილების მანძილისა და მიმართულების შესაბამისად მოქმედებს. უფრო მარტივად, Mouse კომპიუტერის მართვის ერთ–ერთი შემადგენელი კომპონენტია და მას არანაირი კავშირი არ აქვს ბიოლოგიურ თაგვთან.

ვინაიდან ტერმინი იმ ენის თავისებურების მატარებელია, რომელზეც მისი შემოღების აუცილებლობა პირველად გაჩნდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველი მოდელის სადენიანი მექანიკური მანიპულატორი (ახლა უსადენო მაუსების მრავალი მოდელია დამუშავებული), სამუშაო მაგიდაზე ცოცვით გადაადგილების გამო, თავს მიაშვავს და ტერმინი, სიტყვის მეტაფორული ხმარების შედეგად გაჩენილი ომონიმია (Mouse გამოიგონა დუგლას კარლ ენგელბარტმა სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტიდან). იდეა გაჩნდა 1963 წ., ხოლო პირველი პროტოტიპი დამზადდა 1964 წ.. თავის სახელწოდებას რაც შეეხება, ენგელბარტი აღნიშნავს: „არ ვიცი, რატომ შევარჩიეთ სახელწოდებად Mouse. ეს უეცრად მოხდა და აღარც შეგვიცვლია ის“).

ომონიმ Mouse–სა და თავს ერთმანეთისაგან ნომინაციური მნიშვნელობები განასხვავებს. როგორც კი Mouse–ს დეფინიციაში სპეციალური ცოდნა აისახა, იგი სამეცნიერო ტერმინად იქცა. ე.ი. კომპიუტერულ ტექნიკაში Mouse კარგავს სემანტიკურ კავშირს პირველსაწყის, „ჩვეულებრივ სახმარ“, სიტყვასთან და სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს, ანუ ბიოლოგიურ თაგვსა და კომპიუტერის მართვის სისტემაში შემავალ Mouse–ს შორის, ინგლისურ ენაზე, მნიშვნელობათა დიფერენციაციის სურათი სხვადასხვა რეალიას გამოხატავს.

ქართულ ენაში პირდაპირი თარგმანით მაუსის აღსანიშნავად შესაძლებელია შემდეგი ვარიანტების გამოყენება 1. თაგვი, 2. თაგუნა, 3. თაგუნია ან კიდევ 4. წრუწუნა (თაგვის სინონიმი). ობიექტურ სინამდვილეში თაგვის ძირითადი ნიშან-თვისება აზრობრივად გამოიხატება, როგორც: „პატარა მღრღნელი ცხოველი, რომლის დამახასიათებელია წვეტიანი თავი და გრძელი კუდი“ (ქეგლ). რომელიმე მათგანის Mouse-ს შესატყვისად მიჩნევა მას აქცევს პოლისემიურ სიტყვად და მისი როგორც ნომინაციური, ისე გადატანითი მნიშვნელობა ობიექტზე სწორ ორიენტაციას არ მოგვცემს. ამასთან, მოსალოდნელია, რიგითმა მომხმარებელმა „საკუთარი გემოვნებით“ გამოიყენოს ტერმინის სხვა ფორმაც და შექმნას ტერმინოლოგიური გაურკვევლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე კომპიუტერულ ტექნიკას გაცნობილი ქართველი სპეციალისტი ვერანაირად ვერ მოახდენს ჩამოთვლილი დასახელებების ასოციაციას კომპიუტერის მართვის განუყოფელ კომპონენტთან–Mouse–სთან. ტერმინი „თაგვი“ ან მისი კნინობითი ფორმები: თაგუნა, თაგუნია და სინონიმი წრუწუნა „მანიპულატორის“ დეფინიციური ფუნქციის მატარებელი ვერ გახდება და მისი მრავალსახეობა სპეციალისტს დაბრკოლებას შეუქმნის.

ქართული ენის ლექსიკაში კომპიუტერული ტერმინი Mouse-ს დეფინიციის შესატყვისი მნიშვნელობის მქონე სიტყვა არ მოიძებნება. ამდენად, ჩვენი აზრით, ტერმინის წარმომავლობის საწყისი–ინგლისური ენის შესაბამისი ტერმინი–Mouse უნდა დავამკვიდროთ. ამ მნიშვნელობით შემოდებული ტერმინი და ქართული „თაგვი“ სხვადასხვა ობიექტური სინამდვილის ამსახველი სიტყვებია და სხვადასხვა აღსანიშნულ მიუთითებს. მეცნიერული თვალსაზრისით, კომპიუტერული ტერმინი Mouse სრულიად დაცლილია თაგვის ფუნქციიდან.

ცხადია, შესაძლებელია, მაგრამ არასასურველი, გამონაკლისების დაშვება ტრადიციულობის, კეთილხმოვანი ჟღერადობის ან სხვა მიზეზის გამო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვების აუცილებლობა არ არსებობს. კომპიუტერული ტექნიკის

ტერმინოლოგიაში ქართულ ენაზე თავი ყურს ცუდად ხვდება და აზრობრივად ძნელად აღსაქმელია.

კომპიუტერულ ტექნიკაში ჩამოყალიბებული, საკუთარი დეფინიციის მქონე ინგლისურენოვანი Mouse-ის სესხებით ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ნიშანსა და საგანს შორის ცალსახა დამოკიდებულება შეიქმნება. საკუთარი მონოსემიური მნიშვნელობით, ტერმინი Mouse, გააადვილებს კომპიუტერული ტერმინოლოგიის შედგენას. ამავე დროს „მანიპულატორის“ Mouse-ით გამოსახვა თავიდან აგვაცილებს ტერმინ „თავის“ კნინობითი ფორმებისა და მისი სინონიმი „წრუწუნას“ ტერმინოლოგიაში დამკვიდრების ალბათობას. ამასთან, Mouse-ის ტერმინად შემოღება ენას თავისი განვითარების ბუნებრივ პროცესში არავითარ „გაურკვევლობას“ არ შეუქმნის.

დასასრულ უნდა ითქვას: არ ვთვლით, რომ აქ წარმოდგენილი ტერმინი „მაუსი“ ერთადერთი შესაძლო ვარიანტია და, შესაბამისად, ჩვენ დასმული კითხვის საბოლოო გადაწყვეტის პრეტენზია არ გვაქვს. ვწერთ იმის შესახებ, რაც გვინტერესებდა. ვიმედოვნებთ, ამის გამო არ განგვსჯიან და ეს წერილი–შეკითხვა ავტორების ინდივიდუალობის ანარეკლად ჩაითვლება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტერმინოლოგ–სპეციალისტთა დასკვნა–განხილული მაგალითის ანალიზის საფუძველზე მივიღოთ პასუხები კითხვებზე:

1– ტერმინი შეიქმნება თუ შემოიღება?

2– ხომ არ აჯობებდა ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში „თაგუნას“ ნაცვლად ტერმინ „მაუსის“ შემოღება და დამკვიდრება?

დარწმუნებული ვართ, ამ და ნებისმიერი სხვა ტერმინის გაცნობიერებული გამოყენება მოითხოვს აღსანიშნი ტერმინის წინასწარ ანალიზს და ტერმინით აღნიშნული ცნების ადგილის გარკვევას მოცემული დარგის მეცნიერულ ტერმინოლოგიაში.

ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
2. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი

3. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II. 1993.
4. II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში ბათუმი, 18-20 მაისი, 2012 წ.
5. „ტერმინოლოგია - ქართული ენის ხვალისდელი დღე“, თბილისი, 11-13 ივნისი, 2013 წ.
6. ტერმინოლოგიური საკითხები II. თბილისი 2016.